

მე შენ მიყვარდი, შენ მნახდი, შენ გამესახუარბოდნი, როგორს შევექლო”...

ნიკოლაჟის გზით



ეროვნულ-საზოგადოებრივი და პოლიტიკური გაზეთი № 1 (267) 25 იანვარი სუთხაბათი, 2018 წელი; ფასი 1 ლ.

7 იანვარს მართლმადიდებლურმა სამყარომ ზემოთ აღნიშნა ქრისტეს შობის ბრწყინვალე დღესასწაული



ქატი - მოვლენა 40 - წელი პატრიარქად არაინე ყოფილა

სრულიად საქართველომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 40 და დაბადების 85 წლის იუბილე აღნიშნა დღევრძელი იყოს ერის სულიერი მამა და წინამძღოლი!

გთავაზობთ ამონარიდებს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ს 2018 წლის საშობაო ეპისტოლედან:

“ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, დინსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბუნ-მონოზონნო, ჩემო საყვარელო სულიერო შვილებო, საქანთკელოს წმინდა მართლმადიდებელი ეკლესიის წევრნო, ხაძმობლობში მკვიდრნო და ჩვენი ქვეყნის ხაზღვრებს გარეთ მცხოვრებნო თანამემამულენო, გიხსტოდეთ!

გავრკელება გვ-283-ზე



19 იანვარს აღნიშნა ნათლიბდებს - ერთ-ერთი უძთავრესი ქრისტიანული დღესახწაული

ტროპარი: რაჟამს იორღანეს ნათელ იღე შენ, უფალო, მაშინ სამეზინა თაყვანისცემა გავმონხნდა, რამეთუ მაშინა ხმა გეჟამეზღოდა, და საყუარელად კელ სახელ-გღვთა შენ, და სული ზმიდა სახითა ტრემისათა დაამტკიცებდა სიტყვისა მის უცდომელოებასა, რომელი განსცხადან, ქრისტე ღმერთო, და ყოველი სოფელი განანათლე, დიდება შენდა.

კაღახნდობს ქვეყანა ძველებურად აღნიშნავს - ჩვენი წინახრების საყვარელი დღესახწაული კურხა გეღინერი ბროლია შენეზური მერთოზლება და სიყვარული დაუბეღე გათითოგაცეზულ ქვეყანას გვ-283-

სხვა გაზეთიდან „საქართველოს რესპუბლიკა“ №4 სამხაბათი, 9 იანვარი, 2018 წელი

წერთნა სულინა რას ერთხელ ხსოვლად სულს დაარხნდებინს!...

თბლის ცხოვრებს, დვთის მსდღით, ადმსავსდისა...

გვ-4 გვ



14 იანვარი გილოცავთ საქართველოს დროშის დღეა! კურხა გეღინერი გვ-4 გვ.



სადვთო დღესასწაული ფოთში ადამიანი დვთის იმედით ცოცხლობს ფოთში ტრადიციული საშობაო ალილო გაიგართა გვ-3 გვ.



14 იანვარს ფოთში ქართული თეატრის დღე აღინიშნა

14 იანვარი ქართული თეატრის დღე აღინიშნა



ქ. ფოთის მერმა გონა კურდღელიამ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა მშენებლობა მარგში დასრულდება გვ-3 გვ.



„სიყვარული გზად და სიღაღ“ ისრაელის ქალაქ კირიატ-იაშის დელეგაცია საქანთკელო დღეებში ფოთს სტუმრობდა გვ-3 გვ.



ქ. ფოთის მერის მოადგილე გიორგი ფარეშიშვილი ბავშვთა დღის ცენტრს ეწვია გვ-3 გვ.



ქალაქის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედას ანა უნახავთ გყან შვილავს? ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ემუქრება თუ არა უმანგებლობა? გვ-6 გვ.

ფოთელავს თაყვის სუნი არ უნდა ანახავდეთ! გაიგართა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა გვ-4 გვ.



ნებწათი ნიკოლოზ იბერი გვ-6 გვ.

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II - 40 წელი მიივსავს ქვეყნის ერთობისთვის

ჩინსტა იშვებოს, აღიარებეთ! და, იშვან იბი თითოჯანის ბაიში...

გთავაზობთ ამონარიდებს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს 2018 წლის საშობაო მისიონარული:

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

“ამერიკიდან შენ უკვე აღარ ხარ მონა, არამედ ძე, ხოლო თუ ძე ხარ, მემკვიდრეცა ხარ ღმერთის მიერ” (გაღ. 4,7).

ახლა, ამ დამს, მთელ კაცობრიობას და თითოეულ ჩვენგანს კვლავ ეუწყება ანგელოზის საოცარი სიტყვები, პირველად ბეთლემელმა მწყემსებმა რომ გაიგონეს: „მე გახარებთ დიად სიხარულს, რომლითაც ისარებს მთელი ხალხი, რადგან დღეს დავითის ქალაქში დაიბადა თქვენი მაცხოვარი” (ლუკა. 2.11) და მსოფლიოს კვლავაც ეფინება ზეციური საგალობელი: „დიდება მალაღობა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა” (ლუკა 2.14).

ანთებული სანთლებით მწყემსებთან და მოგვებთან ერთად სულიერად ჩვენც გავეშუროთ ბეთლემისაკენ და მივყავსოთ ყრმა იესოს, - წინასწარმეტყველთა და მოციქულთა მიერ დავითის ძედ წოდებულს.

რატომ შეიყვარა ღმერთმა ასე დავითი? რატომ მიაგო გამორ-

ჩეული პატივი? შობის აღვითად მისი ქალაქი რატომ ირჩია და თავისი ხორციელი წარმომავლობა მას რატომ დაუკავშირანა?

პირველ რიგში იმიტომ, რომ იგი გახდა მეფე-რჩეული დავითის ძეგვამოსილობის მწვერვალზე და უდიდესი შეჭირვების ქამსაც სულით ხორცამდე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ქვეყანაში თვითონ კი არ მეფობდა, არამედ, - ყოვლადსახიერი უფალი. თავად კი იყო აღმსრულებელი, ამიტომაც თავდაბლად სრულად იყო მასზე მინდობილი და უდრტვინველად ემორჩილებოდა.

ძველი აღთქმის მეფეთა შორის მეფე-მსახურის ტვირთი ასე სწორად, ასე ღირსეულად არავის უტარებია და დღესაც იგი მისაბაძად რჩება.

დავითს ჰქონდა დიდი შეცდომებიც, მაგრამ ჰქონდა გულმხურვალე, გულწრფელი, სულისშემძვრელი სინანული და ეს განცდა იმდენად ძლიერი იყო

მასში, რომ სჭარბობდა ცოდვითა სიმძიმეს და მაგალითად გახდა დაცემულთა წამოდგომისა.

თავმდაბლობისა და გულმეშუსვრილობის გამო მიეცა მას წინასწარმეტყველების მადლი და უფალთან პირდაპირი საუბრის ძალმოსილება, რითაც იქცა მეფობის, ღვთისმახურებისა და წინასწარმეტყველების ნიჭთა შემომკრებად.

ამ თვისებათა გამო დაფასდა დავითი ღვთის თვალში.

ჩვენ ყველამ მშობლებისა და წინაპართაგან მივიღეთ გენეტიკური მემკვიდრეობა. ამ მემკვიდრეობის, გარემოებათა და პიროვნული არჩევანის მიხედვით კი ვცვლილებით ინდივიდობად.

ეს შემოქმედებითი პროცესია, რადგან გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენი ქმედებების ნაწილი მოვიწონოთ, ნაწილი დავიწუნოთ, ზოგს განვივლიოთ, ზოგს მუდმივად ვებრძოდეთ და ასე გავხედოთ თანამონაწილე ჩვენი „მე“-ს გამომკრებისა.

ავს ვაკეთებთ თუ კარგს, ეს

ყველაფერი შემდეგ იმ ქვეყნად აისახება და მთელი სისხვისით გამოვლინდება; ამიტომაც ჩვენს ყველა ნაბიჯს და არსებობის ყოველ წუთს დიდი მნიშვნელობა აქვს.

დღესასწაულს ვულოცავ ქართველებს, აფხაზებს, ოსებს, ბერძენებს, უკრაინელებს, რუსებს, ებრაელებს, აზერბაიჯანელებს, სომეხებს, უდი-ნებს, იეზიდებს, ქურთებს, ინგუშებს, ჩერქეზებს, ჩეჩენებს და ლეკებს, ყოველ სხვა მკვიდრთ საქართველოსა და საზღვრებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს.

მაშ, „განვიშორნეთ უკუე საჭურველნი ბნელისანი, რათა შევიწყნაროთ დღე აღმოდებადებსა” (იოანე თესალონიკელი).

ქრისტე იშვების, აღიღებდეთ! ქრისტეს ზეცით მოვალს, მიეგებოდეთ! ქრისტე ქვეყანასა ზედა არს, ამალღვით!

სიყვარულით თჳხანთვის
მლოცვამი, ილია II სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი.

კურხა ბელინარი

ბროლია შენებური ერთობლება და სიყვარული დაუბედა ბათითოკაცებულ ქვეყანას



გაგიმართლათ წელს, თორემ თქვენი საჭმელი კიარა, ოჯახი ვერ გვირჩენია, ისე გაძვირდა ცხოვრება პურსაც არავინ მოვიტრახავს და ძაღლებს ვინ გადავყვება. ერთი-ორი მეც გავაჩქე და ცოლმა ეჭვით დამიწყო ყურება, მეც ხომ არ მიპირებს რამესო და შემასხენა - წელს ძაღლის წყლია და ერთი მაინც დავიტოვოთ მაფხურადო. მეც ბედობას შემოვუშვი ბროლია სახლში, ისედაც უკუღმა მიდის ჩვენი საქმე და რაღა მე, ამას დააბრალონ და მოტეხონ ფხითქო, მით უფრო ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება. პოდა, ბროლიაც პირველად სამზარეულოში შევარდა და პურის ნაჭერი დაითრია. შე კაცო ერთი ჭიქა დაბედა და პურ-ღვინო დაგვებდებოდათქო. 1 ჭიქა გადავკარი - ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი... მერე გაუშვე კარი და პატარა რჩევებით მივეცი გზა-დაგზა, ესადაგს უსურვე და მთლად შენი ფეხის იმედად ნუ იქნებიანთქო. გასათხოვ ქაღალს ნუ დაუწევს ძეხნას, უმეტესობა საზღვარგარეთ გადაიხვეწა და სხვის კაცებს უდგანან მოსამსახურედ. შენ დაბრუნება უსურვე, ისე რომ დედებს ინტერნეტით არ გაეცნოთ შეილები. გზადაგზა გაუკტილი სახლები შეგხვდებო- ბანკმა დაკვირდა და ბევრი ემიგრანტად აქცია. შაპაბასმა ვერ მოახერხა ამდენის გასახლება, შენ რა გგონია, მარტო შენ ცხოვრობ ძაღლური ცხოვრებით? ერთი ინტერნეტში განახა რეებს წერენ და თავს ბედნიერად იგრძნობ.

ბაზარში ფრთხილად იყავი, იმ ორმოებში ფეხი არ მოიტეხო თორემ როგორღა გვიფხვებ, თან მაწანწალა ძაღლებს ერიდებ - ამ ტერიტორიას აკონტროლებენ და მათ ზონაში არ შევიშვებენ, ტენდერი ოზურ-გეთელებმა მოიგეს, უპატრონო ცოფიანი ძაღლებსგან რომ გაწმინდონ აქაურობა, მაგრამ დიდად არ იწუხებენ თავს და იმათაც აკლებული იქნენ აქაურობა. შიშით ვერ გაუშვია ისედაც უფული და გაჭირვებულ ხალხს. ღოთებთათა გავსე-ბული აქაურობა, უსაქმური კაცები არავს დაითრევენ თუ არა წრეზე ქვა-ღორღს შემოუსხდებიან ვითომ მაგია იყოს და ისეთ პოლიტიკურად დახვეწილ სადღე-გრძელებს სვამენ, შეგშურდება კაცს, ვინ იცის იქნებ ერთ დროს მართლაც იყვნენ საქმიანი კაცები, ახლა ზოგს თვალი აქვს

წამოგდებული, ზოგი ცალფეხაა, ზოგი უდებლობას მისტირის და თვალი ვითომ ქაღალბისკენ უჭირავს. ისინიც აქეზებენ - წაიყვანე ეს გოგო ცოლადო, იმასაც ცრემლი სდის, მიხვდა რომ დასცინიან, იქნებ თავის ახალგაზრდობასაც მისტირის, დანგრეულ ცხოვრებას და უბედობას. შენ უფხე მაინც, მარა ეშველება ამით რამე? ბაზარი ბოშათა ქალაქს გავს სხვადასხვა ფერი ბრინჯით აჭრელებული, ხარახურა დასხლებით, თვალში საცემი კი ცარიელი ბაზარია, კანტი-კუნტად გამგლელებით, რომელთაც არაფრის ყიდვის თავი არააქვთ და ისურება მალაჩიხებიც. მიდიდარი ხალხი და მყიდველი დაუბედა ბაზარს ჩემო ბროლია, ყველა გზა ხომ აქეთკენ მიდის?

ქალაქის პარკში ვიღაცას ღამიონები და სკამები დაუმტკვრევია, ხეები დაუღუწია, ისე ხომ არაა კაცი ცხენს ვერ მოქარია და უნაგირს ამტკვრედაო, არაა ეს ვაჟკაციური საქციელი, ახალგაზრდებს სიყვარული, სიფხიზლე და კარგი მომავალი დაუბედა, თორემ ნარკოტიკებით გაბრუნებულნი ვერც თავს უშველიან და ვერც ქვეყანას არგებენ რამეს. მოვალეობის გრძნობა არ უნდა დაგვარგოთ, ქვეყანას პატრონი ჰქირდება. ერთ დროს ივანიშვილმა მოინდომა ფოთის გალაშქება, მაგრამ რატომღაც უარი უთხრა ფოთელებზე განაწვევებულმა სააკაშვილმა. (არჩვენებში ხმა რატომ არ მომეცითო) იმანაც შეკვეთილში მოაწყო დინეილენდი, ერთი მაგასაც მოეხედოს ჩვენსკენ, არ ვართ ცუდი ხალხი ფოთელები, რაგბის სტადიონისთვის მადლობა შეუთვალეთ მაგრამ, იქნებ ქალაქს, ფეხბურთის აკვანს, ლეგენდარული პაიჭაძის გამბრდელს ხელი წაუკრას, 5 წელიწადია არ დაადგა საშველი სტადიონის აშენებას, ისედაც ბევრი გასართობი არაფერი აქვს ქალაქს. კინოთეატრი შენდება და არც შენდება, ვინ დაგვწყვედა, შემოურბინე შენებურად ამ შენობასაც, იქნებ წელს მაინც დაადგეს საშველი, მერე მერიაშიც შეიხედე, ახალ მთავრობას იმ პრობლემების გადაწყვეტა დაუბედა ფოთელებს ფოთი რომ შეაზარა, აქეთ თვეზის სუნი, იქეთ - ხორბლის მტვერი, მოშლილი კანალიზაციის სისტემა ვარს როგორც ქალაქის დამაალი შიგნეულობა. ზღვის ნაპირგამაგრება და ერთი კარგი პლაჟის მოწყობა და მალთაყვის კურორტის აღდგენაც დაუბედა. საკრებულოში უსურვე პარტიებს ურთიერთ კინკლაობას არ აყოლოდნენ, რამეთუ ქალაქი ერთია, უჭირს ხალხს და მაინცდამაინც პრემია დანაბატებს ნუ გამოეკიდებიან, თორემ ამომრჩეველიც აღარ შერჩებათ. „ნაცებს” გააგებინე სააკაშვილზე ნუ იკლავენ თავს. მაგას ვერ გაიგებ საქართველო უფრო უფარს თუ უკრაინა, ოღონდ სკამი და ფული იშვოვს ზიმბაბუეზეც არ იტყვის უარს. „ბუნტოვშიკობით” არცერთი ქვეყანა არ აშენებულა, დიდი ნიკოლაძე გვასწავლიდა ქვეყანამ რევოლუციის გზით კიარა ეყო-

ლუციის გზით უნდა იაროს, გვეყო ამდენი ომი და უბედურება. მოკლედ, ჩემო ბროლია პოლიტიკური მაფხური გამოგიყვანე, ასე რომ ბულგაკოვის რევოლუციონერი ძაღლი მიმიქარავს. მერე ნავსადგურს და საზღვაო ვაჭარს ესტუმრე, თუმცა, იქ არავინ შეგიშვებს. ევრაზიის ფორფოსტი, საქართველოს საზღვაო კარიბჭე ტერმინალად აქციეს. ფუნქცია დაკარგა ქალაქმა, სააკაშვილის ხელისუფლებამ ერთი ამწის ფასად გაყიდა აქაურობა, მტერი არაა მტერი მაგი არ დაგვიბრუნონ ფოთელებს, მაგრამ მაინც ახლის აშენება დაგვიბედა, თუნდაც მუნიციპალური ნავსადგურის. რამდენ გაჭირვებულს ეშველებოდა, რამდენი პრობლემა გადაწყვეტილია ნავსადგური რომ არ გაეყიდათ ამ მართლაც მოღალატეებს, მაშინ ხელისუფლებაში მყოფ ფოთელებსაც წინააღმდეგობა რომ გაეწიათ საპორტო ქარაი სოფელს არ დაემგვანებოდა, 12 მილიონიანი ბიუჯეტი ქუჩების მოხრეშვას არ ეყოფა, ეს დალოცვილი ქალაქი სიდიდით მეორეა საქართველოში, თანაც უნიკალური გეგმარებით არის გამორჩეული. სკოლებშიც შეიარა, კაცი მასწავლებელი სანატრელი გახდა, ხელფასების მომატება უსურვე, არ განედევნოთ სკოლიდან ეროვნული სული, არ დაიწვებოდეთ შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაქტიონი. ვიღაც მამაძაღლმა ჯარში ჩააბარა სულიერების სიმბოლო დიდი გოგებაშვილის „აი ია”, მისი აღდგენა და სკოლაში გოგებაშვილის დედაგანის დაბრუნება უსურვე.

ალბათ გემასსოვრება ზღვისპირას არგოს მოდელის გემი რომ იდგა, დაანგრიეს, „ფაზისის” აკადემია დაიწვა, ქალაქის შემოსასვლელში ისტორიული ემბლემა ოქროს საწმისი და მედეას ძეგლი სადღაც გააქრეს, ვიღაც შეგნებულად შლის კოლხურ კვალს ძირძველ ფაზისში. ერთდროს ქვეყნის ეკონომიკური და კულტურული ცენტრი რომ იყო. დროა აღსდგეს ისტორიული სამართლიანობა და ფოთს - „ფაზისი-ფოთი” ეწოდოს, არც ერთი დაიკარგება და არც მეორე.

ახლა შემოთაც გადავწყვედეთ ბარემ, პარლამენტი ნუ გადავყვება კონსტიტუციის შედგენას, ინგლის-ისრელს საერთოიდ არააქვს იგი, მაგრამ ჰყვავის იქაურობა. ჩვენ კი კონსტიტუცია გვექონდა, მაგრამ თავზე გადაგვახია სააკაშვილმა. მთავრობის მეთაურმა თავი დაანებოს დედის გინებას და საქმეს მიხედოს, ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და დედა ყველაფერზე უწმინდესია. ისე, მეღაიას გამზრდელი დედა მთლად ქების ღირსი ვერაა.

პრეზიდენტი უნდა მიხვდეს, რომ ქართველები იდიოტები არავართ, ფილოსოფიურ დასკვნებს რომ აკეთებს ამაზე ერს პირობით უნდა შეუძახოს და გაამხნევეს. „ოცნებაც” უნდა ეცადოს ხალხიც კარგად იყოს და მხოლოდ მისი ოცნების ასრულებასზე არ იფიქროს. თორემ რა გამოდის, ხელისუფლება კარგად ცხოვრობს, ხალხი

წვალობს, გახსოვდეთ რომ სიღარიბე არის პატარა ჯვარცმა. იგი ანგრევს ოჯახებს, ანგრევს ქვეყანას. დღეს ემიგრანტები არჩენენ საქართველოს, ანგელოტიც გეცოდინება ჩემო ბროლია „ქუთაისელები ოღონდ თვითმფრინავში შეასწონ და არც კითხულობენ საით მიფრინავენ, რომელ ქვეყანაში”, სამსახური და სამშობლოში დაბრუნება უსურვე, გაქცევილი ვერ უშველია თავს, ძნელია უსამშობლო ცხოვრება, ხომ ვაგია როცა ოჯახში არ გაქვს სამშობლო და სამშობლოში არ გაქვს ოჯახი, ასეა ჩვენი საქმე.

ქვეყნის გაერთიანებისათვის 30 წელია იბრძვის ხელისუფლება, გაეროს სამთავრობო და არასამთავრობოები, ტოლვილები კი კვლავაც უსახლკაროდ არიან დარჩენილები. ჯერ აღამიანებს მიხედონ, ტერიტორიებს ეშველება, ვერსად წაიღებენ, ტოლვილებს სამშობლოში და თავის კუთხეში დაბრუნება ვუსურვოთ. ერთ დროს აფხაზები და ოსებიც მიხვდებიან, როგორი თავისუფლები და დამოუკიდებლები არიან.

რუსის ძმობის არ დაიჯეროთ, მაგრამ მთლად ამერიკელებს ნუ მიენდობითქო, ყველას მისი ინტერესი აქვს ამ პატარა, მაგრამ სტრატეგიულ ქვეყანაში, თორემ ქართველი ხალხი ვის რაში ანადგვებს. 30 წელია თავისუფლები და დამოუკიდებლები ვართ, მაგრამ სად არის პიროვნული თავისუფლება, კეთილდღეობა და აღამიანური ცხოვრება - ღალი და ფრთებ-გაშლილი, ვის გაუგია ცალი ფრთით ფრენა. არ გაამართლა კაპიტალიზმმა და სხვა რამეზე იფიქრეთ და ხალხს მოუარეთქო, ჩემო ბროლია.

ბოლოს, რედაქციაშიც შეიბრინე არავის ახსოვს ქალაქის მემარტინე, თითქოს ყველაფერი წარსულში უნდა დარჩეს, თითქოს არც არაფერი ხდება ქალაქში და არც არაფერი მოხდება, არც არაფერზე უნდა ვწეროთ და ვიმსჯელოთ. სააკაშვილის რეჟიმთან ბრძოლას შეეწირა რედაქცია და რამდენიმე თანამშრომელი დავერწოთ, ვინ დაგიფასა მერე? გამოთავისუფლებულ კაბინეტებში ტოლვილები შევიფარეთ, თუმცა არც ჩვენ ვჯობობართ მაგათ, როგორც რედაქცია, როგორც მეფე ღირიეთ ყველაზე მტრეუბული, იქნებ, ფასადები შევალამაზონ მაინც.

ჩემო ბროლია, ნიკოლაძის გზით სიარული დაუბედა ქალაქს, მას არაფერი ეშლე-ბოდა და არ აეროდა გზა-კვალი.

შორიდან თითქოს მოსწანს და ანათებს ფაზისის კანდელი.

შენებური ერთეულები, გაერთიანება უსურვე გათითოკაცებულ საქართველოს, ორად გაყოფილ ეკლესიას, პარლამენტს და მთავრობას და შეახსენე, რომ ესენი ბევრია, მაგრამ ქვეყანა ერთია!

წ. აბრალაშვილი

ინფორმაციები ქალაქის ცხოვრებიდან

საღმთო ღვთისმეტყველების ფოტოში

აღმართი ღვთის იმედით ცოცხლობს

ფოტოში ტრადიციული საშობაო აღიარო გაიმართა



შობის ბრწყინვალე დღესასწაული ქალაქში, ტრადიციულად, აღიაროთი, აღინიშნა. საზეიმო მსვლელობა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ეკლესიიდან დაიწყო და საკათედრო ტაძართან დასრულდა.

მასში ფოთისა და ხობის ეპარქიის სამღვდლოება და მრევლი მონაწილეობდა. მეაღილოლებს ქალაქ ფოთის მერი გონა კურდღელია, ვიცე-მერი მამუკა

პაპასკირი, მერის მოადგილეები, მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები შეურთდნენ. აღმინისტრაციული შენობის წინ შეკრებილებს შობის დღესასწაული მიულოცა ანსამბლმა „ფაზისმა“.

საკათედრო ტაძარმდე მსვლელობას სახელოვნებო ცენტრთან არსებული ანსამბლებიც შეურთდნენ. აღდგომის სახელობის საკათედრო ტაძარში, დღესასწაულთან დაკავშირებით, მაცხოვრის პარაკლისი იქნა გადახდილი.

14 იანვარს ფოთში ქართული თეატრის დღე აღინიშნა

ვალერიან გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატულმა თეატრმა ერთგული მაყურებლისთვის აქსენტი ცაგარელის „ხანუმა“ ითამაშა, დამდგელი რეჟისორი დავით მღებრიშვილი, სპექტაკლის დასასრულს ქალაქ ფოთის მერის მოადგილემ გიორგი ფარაშიშვილმა დასს ქართული თეატრის დღე მიულოცა. ფოთის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ დღესთან დაკავშირებით, დრამატული თეატრის მსახიობები და ტექნიკური პერსონალი დააჯილდოვა. ესენი არიან: რამაზ იოსელიანი, ნოდარ ბუაღავა, ელგუჯა ქარაია, მარტინ დამბარაშვილი, ჟუჟუნა ჩხეიძე, მაია მებონია და ეკატერინე კვიციანი.



მრავალშვილიან ოჯახებს საახალწლო ნობათი გადაეცა



ახალი წელი და შობის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცა მრავალშვილიან ოჯახებს ქალაქის ვიცე-მერმა მამუკა პაპასკირმა და მერის მოადგილემ ირაკლი თოფურიამ. 5 და მეტ შვილიან ოჯახებს ტკბილეული და საკვები პროდუქტები გადაეცა. ისინი სოციალური მდგომარეობის მიხედვით იქნენ შერჩეული. აქცია, კერძო კომპანიების, შპს „კავტრექსი ფოთისა“ და შპს „კაისა-2“-ის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

ქ. ფოთის მერის მოადგილის გიორგი ფარაშიშვილის ვიზიტი ბავშვთა დღის ცენტრში

ქალაქის მერის მოადგილემ გიორგი ფარაშიშვილმა, ახალი წელი მიულოცა კოალიცია სოციალური რეფორმებისათვის ფოთის ბავშვთა დღის ცენტრის აღსაზრდელებსა და პედაგოგებს. მერიის კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მან პატარებს ტკბილეული, ტორტი და საშობაო ნუგბარი მიუტანა. გიორგი ფარაშიშვილი მეცადინეობის პროცესაც დაესწრო. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა თამარ ფოფხაძემ მერის მოადგილეს დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა, მუშაობის შედეგები გააცნო და ბავშვთა საზოგადოებაში ჩართულობის ზრდაზე ესაუბრა.



განსოვლეთ, ქალაქი ჩვენი საერთო სახლია!

განდალიზმის ფაქტი ფოთის ცენტრალურ პარკში

Sobiswina Rames foTis kulturisa da dasvenebis parkSi vandalizmis faqti da-fiqsirda. diliT moqalaqeebs damtvreuli sanaTebi, urnebi da skamebi daxvdaT. samwuxarod, namoqmedars, Segnebulad zianis miyenebis elferi aqvs.

gulsatkenia, rom qalaqSi, dResac arian arakeTilmosurne adamianebi,visac yofnis "Zala da gambadaoba", avnos sazogadoebis, daazianos is, rac qalaqis da xalxis kuTv-nilebaa. momxdarTan dakavSirebiT, mimdinareobs gamoZieba.



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერია გილოცავთ! 14 იანვარი საქართველოს დროშის დღეა!



საქართველოს სახელმწიფო დროშა არის მართკუთხა თეთრი ფერის ქსოვილი, რომლის ცენტრალურ ნაწილში გამოსახულია დროშის ოთხივე გვერდთან დაკავშირებული სწორკუთხა წითელი ფერის დიდი ჯვარი; ჯვრის ვერტიკალურ-პირიზონტალური მკლავებით გამოყოფილ ოთხკუთხედებში გამოსახულია ოთხი იმავე ფერის, ბოლნურ-კაცხური ჯვარი.

საქართველოს დროშაზე მოცემული გამოსახულება, ვერცხლის (თეთრი) ფონზე ერთი სწორკუთხა ჯვარი, კუთხეებში ოთხი მცირე ჯვრით — ზოგადქრისტიანული სიმბოლოა, რომელიც მაცხოვარსა და ოთხ მახარობელს განასახიერებს. ვერცხლი (თეთრი) პერალდიკურად უმანკოებას, უბიწობას, სიწმინდეს, სიბრძნეს აღნიშნავს, ხოლო წითელი — სიამაღაცეს, ვაჟააქობას, სამართლიანობას და სიყვარულს.

„სიყვარული გზად და ხილად“ ინრაელის ქალაქ კირიატ-იამის დელეგაცია საახალწლო დღეებში ფოთს სტუმრობდნენ

ქალაქ ფოთს ისრაელის დამეგობრებული ქალაქის კირიატ-იამის დელეგაცია სტუმრობდა. ვიცე-მერი მურადი ფიზიცი, ქალაქ ხაიფას ქართულ-ებრაული კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი შაფთაი ფანიაშვილი და ქალაქ კირიატ-იამის მერიის იურისტი მოშე ელიკი ფოთს შემდგომი ურთიერთობების გადრმავეებისა და საინვესტიციო გარემოს გაცნობის მიზნით ეწვივნენ. სტუმრებს ქალაქის მერი გონა კურდღელია და ვიცე-მერი მამუკა პაპასკირი შეხვდნენ. მათ ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის გადრმავეებასა და სამომავლო პერსპექტივებზე ისაუბრეს. კირიატ-იამის დელეგაციის ვიზიტმა რამოდენიმე დღე გასტანა. მათ სამრეწველო და კულტურული დაწესებულებები მოინახულეს და მონაწილეობა მიიღეს ქალაქის საახალწლო ზეიმში.



ფოთელთა თაყვის სანი არ უნდა ანახალებო! გაიმართა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა



ქალაქში თევზის სუნის პრობლემის მოსაგვარებლად, ფოთის მერის გონა კურდღელიას ინიციატივით სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, რომელიც თევზის სუნის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს შეიმუშავებს. სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრას მერის კაბინეტში თევზის გადამამუშავებელი ქარხნების

ხელმძღვანელებიც დაესწრნენ. საუბარი შეეხო, როგორც სუნის გავრცელების შესამცირებლად ფილტრების შექმნისა და ამოქმედების აუცილებლობას, ისე ქარხნის ნარჩენებით ეკოლოგიური დაზიანებების თავიდან აცილებას. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროექტ „ქალა ერთობაშია“ წევრები. მათი განცხადებით, მოსახლეობას თევზის სუნთან დაკავშირებით პატიან მწვავე რეაქციები აქვს, რაც აგრესიაშიც კი შეიძლება გადაიზარდოს. თუმცა, ისინი პრობლემის გადაჭრას, ცივილური, მოლაპარაკების გზით ამჯობინებენ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ექსპერტის დასკვნის შემდეგ, ჯგუფი კონკრეტულ ამოცანებს შეიმუშავებს. დანიშნულებად პიხაბს ბონოვით მომზავიითოთ ბანიფონი-22 12 95.

ქ. ფოთის მერმა გონა კურდღელიამ სტადიონზე მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა



ქალაქის მერი გონა კურდღელია, მერის მოადგილესთან ირაკლი თოფურიასთან ერთად ფოთში სტადიონის მშენებლობის მიმდინარეობას ადგილზე გაეცნო. პროექტის ღირებულება 1 863 000 ლარს შეადგენს. მოხდება ტრიბუნების მშენებლობა, სტადიონის შიდა და გარე კომუნიკაციებით უზრუნ-

ველყოფა, მოეწყობა თანამედროვე სტანდარტის გასახდელეები, საშხაპეები, ლოჯა, ოთახები კომენტატორებისათვის, ავტოსადგომი. მოახდელდება სტადიონის მისადგომები. ფოთის სტადიონი 6000 მაყურებელზეა გათვლილი და იგი ექსპლუატაციაში 2018 წლის მარტში შევა. მშენებლობას კომპანია „ელიტა ბურჯი“ აწარმოებს. სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმებულია 15 ადგილობრივი მცხოვრები.



წვრთნა სულით

რაც ერთხელ სხოვლად სულს დაიწვინებინა...

ობლის ცხოვრება, ღვთის მადლით, ადმკვაცლია...



„ფაზისის“ აკადემიამ ილია II დიდი იუზილუ მიულოცა

1957 წლის იანვარში მამის გარდაცვალებით დამწუხრებულმა ოჯახმა ფოთიდან თბილისში, ბიძის ოჯახში გამოამაგზავრა -12 წლის ბიჭს გული არ დაუდრდიანდეს, ცხოვრების გარემო გაუხადოს. ბიძის სახლი ზიარი ეზოთი ემიჯნებოდა წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ეკლესიის ეზოს. ფაქტობრივად ამ ტაძრის შემოგარენში ვიზრდებოდი...

ბუნებრივია, მოზარდის გონსა და სულში ბავშობიდანვე ნათლად ჩაიქარგა მართლმადიდებლობის სიდიადე და მადლი. ეკლესიაში ხშირად საღმრთო მსახურების მონაწილეც გახლდით. დღესაც თვალნათლივ მახსოვს 1957 წლის აპრილი, ის ამადლებული სახეიმო განწყობილება, როცა ეზო და შემოგარენი მრევლს ვერ იტყვდა, მაშინ არა მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად, ნათლად გავიცნობიერე იმდღევანდელი ხალხმრავლო-

ბის მიხეზი-მაშინ ამ ტაძარში ჩვენი უსაყვარლესი, საფიცარი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II აღმაშენებელი ბერად აღიკვეცა. მაღალი ღმერთის წყალობითა და მადლით ასე დაიწყო ჩემი, როგორც შემდგომში პატრიარქის შვილობილის გულწრფელი, გულმხურვალე სიყვარული და აღფრთოვანება მისი უწმიდესობის პიროვნებით.

შემდგომ, ჩემი აჭარაში მუშაობისას, იგი ხშირად ჩამობრძანდებოდა ბათუმში. საბედნიეროდ, ჩემს აჭარულ ძმებთან ერთად გულმხურვალედ ემასპინძლბდი უწმინდესს, თანამოგზაური გახლდით მისი წმინდა ადგილების მოსალოცად მგზავრობისას. ერთხელ, გამომშვიდობებისას წმინდა ბიბლია და ოქროს ჯვარი ყელსაბამით მისახსოვრა, რომელსაც დღემდე მკერდიდან არ ვიცილებ, ვგრძნობ რა მისი დალოცვის ძალასა და მადლს...

მაგონდება ფოთში მუშაობის დროს ქალაქის ცენტრალურ მოედანზე დიდი ნიკო ნიკოლაძის თაოსნობით აგებული საკათედრო ტაძრის კვლავ ეკლესიისთვის დაბრუნების საჭირო ერთობლივი ღონისძიებებში მონაწილეობა და საკითხის პრაქტიკული რეალიზაცია; ტაძარში განთავსებული თეატრისთვის ახალი შენობის დაპროექტება; ქვეყნისა და ეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლისა და დამსახურებისათვის ცოტნე დადიანისა (2000წ) და გიორგი ჭყონდიდელის (გიორგი ბედიას, 2005 წ.) ფაზისის აკადემიის წარდგინებით, წმინდანების კურთხევა.

სობში მუშაობისას სობის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მამათა მონასტრის (XII საუკუნე) სპილენძით გადახურვა, ეზოს კეთილმოწყობა და 5 ჰექტარი ტყე-პარკის ეკლესიისთვის საჩუქრად გადაცემა... მოგეხსენებათ სობის მონასტერში საუკუნეების მანძილზე დაცული იყო ღვთისმშობლის კვართი და ინახებოდა წმინდა თამარ მრფის გულსაკიდი ოქროს ჯვარი ძვირფასი ქვებით შემკული და სხვა სიწმინდეები; ფოთში „ფაზისის“ ეპარქიის რეზიდენციისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფორმირება და ახლად აღდგენილი ეპარქიისთვის 7 ჰექტარი ტყე-პარკის (ციტრუსოვანთა ნარგავებით) საჩუქრად გადაცემა, მრავალ ანალოგიურ საერო და საეკლესიო აღმშენებლობით ღონისძიებებში აქტიურად მონაწილეობა;

დიდი იუბილარს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის და-

ბადებიდან 85 და კათოლიკოს პატრიარქად აღსაყდრების 40 წელი, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის 100 წელი) „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის (III-VII ს.ს.) მრავალათასიან წევრთა სურვილითა და დავალებით, „ფაზისის“ როგორც დედა აკადემიის საპატრიო პრეზიდენტს და აკადემიის ფუნქციონირების აღმდგენს 1996 წლიდან, საპატრიარქოში მიღებისას საჩუქრად გადაეცემა ხატი „ქებაი და დიდებაი ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი მარიამისა“, ავტორი - ხატმწერი მამუკა გრიგოლია. უწმიდესმა და უნეტარესმა მისთვის ჩვეული გულითადობით დაგველოცა და მოგვცა კურთხევა, ეს წმინდა ხატი დაგვებრძანებინა სწორედ წმინდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარში შემოწირულობის სახით, სადაც ის ბერად აღიკვეცა. დავალება იმავე დღეს შესრულდა ამ ტაძრის წინამძღვრის არქიმანდრიტ ბიძინა გუნიას დახმარებით...

დიდება უფალს ამ სასწაულისთვის. მართლაც და ობოლი კაცის ცხოვრება სწორედ მაღალი ღმერთის, უფალ იესო ქრისტეს განგებითა და წყალობით, აღმავალია.

„უფალო შენ ყოველი უწყი და ყოველი იცი, რამეთუ მიყვარხარ შენ! ამინ, არ დამეკარგოს გულიდან მე ღმერთის სამსახურია“.

უღრმესი პატივისცემითა და სამადლობელით, „ფაზისის“ საერო-სამეცნიერო აკადემიის პრეზიდენტი, ეკონომიკის დოქტორი

ნუზუარ ნადარაია

ქალაქის საზოგადოებრივი სათათბირო მოქმედებს

ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას ემუქრება თუ არა უშანგბალობა?

ასე უნახავთ გყნს უწილავს?

დასაწყისი წინა ნომერში

ქალაქ ფოთის საზოგადოებრივ სათათბიროს მიანჩნია, რომ ქალაქში არსებული მწვანე მშენებლობის მდგომარეობა მკვეთრად ჩამორჩება თანამედროვე მოთხოვნებს. ქალაქს არ გააჩნია სანერგე მეურნეობა. მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივ მომსახურების სამსახურთან არ ფუნქციონირებს დეკორატიული ჯგუფი მალთაყვისა და ნაბადის უბნებში. დარღვეულია ლანდშაფტური სტრუქტურა, რომელიც შესაბამისობაში არ მოდის ქალაქის გაშენების გენერალურ გეგმასთან. არ არის გათვალისწინებული სუბტროპიკული კლიმატი, აღმოსავლეთის ძლიერი ქარები. ხე-მცენარეები ერთგვაროვანია და არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით (მარადმწვანე, ფოთლოვანი, წიწვოვანი, ფოთლოვანი) ბოლო პერიოდში არ გაშენებულა არცერთი სკვერი, პარკი და ხეივანი, არ გამწვანებულა ცალკეული უბნები, არ არის გათვალისწინებული ცალკეული ქუჩების თავისებურებანი, ნელი ტემპით მიმდინარეობს ახალი მცენარეების გამორგვის სამუშაოები. ქალაქში ავტოსატრანს-

პორტო საშუალებების რაოდენობის ინტენსიური ზრდის პარალელურად იზრდება გამონაბოლქვის მოცულობა და მცირდება ჟანგბადის ბალანსი, რაც ცალკეულ შემთხვევაში იწვევს სასუნთქო ორგანოების დაავადებებს. წინა წლებში მიიმე გასხვლების შედეგად მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა აკაკის, რუსთაველის რკალის, ნიკოლაძის სანაპიროს, მერაბ კოსტავას და სხვა ქუჩის მიმდებარე ტერიტორიების იერსახეს, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ქალაქის ინფრასტრუქტურას, რამდენიმე წლით შემცირდა ჟანგბადის მიღების ბუნებრივი ბალანსი, გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ქ. ფოთის საზოგადოებრივ სათათბიროს მიზანშეწონილად მიანჩნია: ჩამოყალიბდეს ქალაქის მშენებლობისა და ხანგრძლივი პერიოდის ლანდშაპტურ-არქიტექტურული დაგეგმარების ერთობლივი ღონისძიება.

1. შეიქმნას მერიის ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივ სამსახურთან ქალაქის მწვანე მშენებლობის რეგულირების ცენტრი. 2. ისეთი მცენარეთა შერჩევა და დარგვა გახონებასა და სკვერებში, ბაღებსა თუ პარკებში, როგორცაა წიწვოვნები: კედარი, ჭაობის კვიპაროსი, ფიჭვი, ნაძვი, ფოთლოვნები და ჭადრი, ნეკერჩხალი, მაგნოლია, კოლხური მუხა, ცაცხვი, ტიტას ხე, ქაფურის ხე. განსაკუთრებით კოლხური ლანდშაფტისთვის დამახასიათებელი ეკვალიპტის ჯიშე-

ბი: კამაღღონის, ღიმონის, სფერული, ღევა ეკვალიპტის, რომელიც ეთერზეთების განსაკუთრებით ცინეოლის შემცველობის გამო ახდენს მადეზინფიცირებელ მოქმედებას. ანაღგურებს კოლოებს, რაც ჩვენი ქალაქისთვის ერთ-ერთი პრობლემური საკითხია.

3. აღდგენილ იქნას სანერგე მეურნეობა დაახლოებით 3 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე, ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ან ქალაქის ახლომდებარე ტერიტორიებზე, სადაც გათვალისწინებული იქნება მწვანე მცენარეები.

4. მოეწყოს ახალი სკვერები, პარკები, ბაღები, ხეივანები, განახლდეს გაზონები მათი ყვაილოვანი და ბუჩქოვანი საფარით ქალაქის სხვადასხვა კუთხეებში. არ მოხდეს მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ესპლუატაციაში მიღება ქალაქის მწვანე მშენებლობის რეგულირების ღონისძიებათა გათვალისწინების გარეშე.

6. საგაზაფხულო სამუშაოებთან დაკავშირებით უნდა ჩატარდეს არსებულ მცენარეებზე ხმელი და დაზიანებული ტოტების მოცილება, შემოზარდა, კირის ხსნარით შეეთერება, მსუბუქი გასხვლა, ფორმირება.

7. რაც შეიძლება სწრაფად დაიხსოს და განხორციელდეს ახლახან შემოჭრილი მავნე მწერის აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის კონკრეტული ღონისძიებები, რაც ეკოლოგიურ კატასტროფას უქადის ქალაქის მწვანე საფარს. ადგილო-

ბრივმა თვითმმართველობამ გვიშეამდგომლოს სურსათის უვნებლობის ეროვნულ სააგენტოსთან, რომ მოსახლეობაში დროულად დარიგდეს ფაროსანას საწინააღმდეგო ბრძოლის პრეპარატები.

აღნიშნული ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფის რეგულირება მოეთხოვოს თვითმმართველი ქ. ფოთის მერიის ინფრასტრუქტურის საზოგადოებრივი მომსახურების სამსახურის უფროსს. მასვე დაევალოს მიღებული ზომების შესახებ საზოგადოებრივ სათათბიროში პერიოდული ინფორმაციის წარმოდგენა.

სუფთა ჰაერი და ანკარა წყალი, მზის სხივები, მსუბუქი სიო და დილის ნაში, ფრინველთა გალობა და მობიბინე ბალახი - ეს შეიძლება სანატრელი გაგვიხდეს. აი, მაშინ კი ყველა ირწმუნებს იმ შემზარავ სიმართლეს, რაზეც მე-20 საუკუნის შუა წლებიდან მოყოლებული გვეუბნებოდა მსოფლიოს ეკოლოგები. გარემოს დაცვა არის და იქნება უპირველესი პრობლემა დედამიწისა, რადგან ჯანსაღი გარემოს გარეშე არც პოლიტიკას ექნება აზრი და აღარც კულტურას, აღამიანის სიცოცხლე საშიშროების პირისპირ დარჩება.

გარემოს დაცვისა და ეკოლოგიურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, ფოთის საპატრიო მოქალაქე ლუიზა ჩხეტიია

უნდა გვასსოვდეს გავითმავს რედაქტორობდნენ ილია ჭავჭავაძემ, ნიკო ნიკოლაძემ...
დღეს კი თინეიჯერებმა აიკლეს ქვეყანა

უჩინარსობიდან მხარცობადეს უჩინარსობაში, და უჩინარსობაში უჩინარსობაში, ბაჩხალია ჩა ბხას უჩინარსობა - ხაზის სახსარსხის თუ ლაშინებას...
თუ საზოგადოებრივი მართლმადიდებელი 5 მილიონით ფინანსდება, რევიზორული 1 მილიონით მიიღეს დახმარება

გაზეთი, პრობლემები, სამადლოები



